

**განმარტებითი ბარათი**  
**საქართველოს კანონის პროექტზე**  
**„მიკრო ბანკების საქმიანობის შესახებ“**

**ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:**

**ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:**

**ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:**

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ბოლო წლების განმავლობაში საზედამხედველო უფლებამოსილების გაძლიერების მიზნით გატარებულმა მთელმა რიგმა ღონისძიებებმა, მათ შორის, საკანონმდებლო ცვლილებებმა, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი არასაბანკო საფინანსო სექტორის ინსტიტუციონალურ განვითარებას და გაძლიერებას.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიკროსაფინანსო სექტორის რეგულირების და ზედამხედველობის კუთხით გატარებულმა დროულმა და ზომიერმა რეფორმებმა სექტორი უფრო მეტად ლიკვიდური, კაპიტალიზებული, სტაბილური, გამჭვირვალე და ინვესტორებისთვის მიმზიდველი გახადა. აღნიშნული რეფორმები, მათ შორის, მოიცავდა კაპიტალის გაზრდას, საზედამხედველო კოეფიციენტების შემოღებას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ზღვრის დაწესებას, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპის დამკვიდრებას, ანგარიშგების სტანდარტის დახვეწას, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის მომწესრიგებელი სამართლებრივი ჩარჩოს დანერგვას და სხვ.

არასაბანკო სექტორი, მათ შორის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და სესხის გამცემი სუბიექტები, მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს რეგიონების ბიზნესისა და მოსახლეობისთვის ფინანსური რესურსების მიწოდების თვალსაზრისით.

არასაბანკო სექტორი მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც მცირე ზომის, ერთ პროდუქტზე ორიენტირებულ, ისე ფართო პროფილის მსხვილ ორგანიზაციებს. ასევე, სხვადასხვაგვარია მათი დაფინანსების სტრუქტურაც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ დიდი ზომის ორგანიზაციები, რომელთაც ხელი მიუწვდებათ უცხოური საფინანსო ინსტიტუტების რესურსებზე, წარმოადგენენ სამეწარმეო და სოფლის მეურნეობის მიმართულების დამფინანსებლებს, რაც კლასიკური მიკროსაფინანსო საქმიანობის შესაბამისია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ერთნაირი სტატუსის მიუხედავად, შინაარსობრივად განსხვავებული ბიზნესმოდელები ექვემდებარებოდნენ რეგულირებისა და ზედამხედველობის განსხვავებულ რეჟიმს. აღნიშნულმა წარმოშვა არასაბანკო დაწესებულებების საზედამხედველო ჩარჩოს დახვეწის საჭიროება. ხსენებულთან დაკავშირებით საერთაშორისო სავალუტო ფონდმა შეიმუშავა შესაბამისი რეკომენდაციები<sup>1</sup>. შედეგად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ახალი ფინანსური ინსტიტუტის - მიკრო ბანკის საზედამხედველო ჩარჩოს შემუშავების თაობაზე.

<sup>1</sup> სავალუტო ფონდის ანგარიში -

<https://www.elibrary.imf.org/view/journals/002/2020/273/002.2020.issue-273-en.xml>

მიკრო ბანკის სახით შეიქმნება ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც ოპერირებას განახორციელებს იმ სექტორში, სადაც მაღალი საოპერაციო ხარჯების გამო კომერციული ბანკების ინტერესი შედარებით დაბალია. მიკრო ბანკის კანონით განსაზღვრული მანდატი - ძირითადად დააკრედიტოს სამეწარმეო და სოფლის მეურნეობის სექტორი, გაზრდის მოსახლეობის ფინანსურ ჩართულობას, განსაკუთრებით რეგიონებში. გარდა ამისა, მიკრო ბანკს მიკროსაფინანსო ორგანიზაციასთან შედარებით მნიშვნელოვანად შეუმცირდება დანახარჯები და გაეზრდება რესურსებზე ხელმისაწვდომობა ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე. აღნიშნული, კი თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საკრედიტო პროდუქტების გაიაფებას და შესაბამისად კონკურენციის ზრდას.

აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ მიჯნავს კლასიკურ, სამეწარმეო და სოფლის მეურნეობის დაფინანსების მიმწოდებელ ორგანიზაციებს, სამომხმარებლო სასესხო პროდუქტებზე ორიენტირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისგან. მათი ერთი საზედამხედველო ქოლგის ქვეშ გაერთიანება და რეგულირების ერთიან ჩარჩოში მოქცევა ნაკლებად სამართლიანია და შესაძლოა ინვესტორებისთვის გადაწყვეტილების მიღებისას ხელის შემშლელ ფაქტორად იქცეს.

ამასთან, ლარის რესურსზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარულ ინსტრუმენტებზე პირდაპირი წვდომის უქონლობის გამო, უცხოურ ვალუტაში მიღებული რესურსის ჰეჯირების აუცილებლობა ზრდის სახსრების ღირებულებას, რაც აისახება ძვირ საკრედიტო პროდუქტებში. მიკრო ბანკებს მიენიჭებათ საქართველოს ეროვნულ ბანკში საკორესპონდენტო ანგარიშების გახსნის უფლება. აღნიშნულით გაიზრდება პირდაპირი წვდომა მონეტარულ ინსტრუმენტებზე, ხელი შეეწყობა ლარის რესურსის მოზიდვას და შემცირდება ჰეჯირების ხარჯები, რაც არასპროცენტო შემოსავლების ზრდასთან ერთად პროდუქტების საპროცენტო განაკვეთის შემცირებაზე გავლენას იქონიებს.

გასათვალისწინებელია, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, კანონმდებლობით განსაზღვრული ნებადართული საქმიანობიდან გამომდინარე, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას თავიანთ კლიენტებს (მიკრო და მცირე დაკრედიტების სეგმენტს) შესთავაზონ სხვა ისეთი ძირითადი საბანკო მომსახურება, როგორც არის ანგარიშის გახსნა და მისი მომსახურება. ეს ერთი მხრივ ზღუდავს კლიენტების ფინანსურ ჩართულობას, განსაკუთრებით რეგიონებში, ხოლო მეორე მხრივ, არასაპროცენტო შემოსავლების მიღების შესაძლებლობას, რაც საბოლოოდ გაძვირებულ საკრედიტო პროდუქტებში აისახება.

**ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:**

ახალი ფინანსური ინსტიტუტის - მიკრო ბანკის საზედამხედველო ჩარჩოს გამჭვირვალედ და ეფექტიანად დანერგვის უზრუნველსაყოფად და მიკრო ბანკის სტაბილური და უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მიკრო ბანკის საქმიანობის სამართლებრივი მოწესრიგება საკანონმდებლო აქტით, რომელიც დაარეგულირებს მიკრო ბანკებისთვის ნებადართული საქმიანობის სახეებს (მათ შორის, განსაზღვრავს ბიზნესმოდელს), სალიცენზიო მოთხოვნებს და ლიცენზირებასთან/ლიცენზიის გაუქმებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, მოთხოვნებს კაპიტალისა და საოპერაციო საქმიანობის მიმართ, მიკრო ბანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენის პირობებს, მათ შორის, შესაბამის შესაფერისობის კრიტერიუმებს, ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესებს/სტანდარტებს, მიკრო ბანკის რისკებისა და კორპორაციული მართვის პრინციპებს, გაყოფის/შერწყმის და გარდაქმნის ძირითად ასპექტებს, დროებითი ადმინისტრაციისა და ლიკვიდაციის საკითხებს, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო

მანდატს მიკრო ბანკების რეგულირების მიმართულებით, მათ შორის, საზედამხედველო ზომების გამოყენებისა და სანქციის დაკისრების საფუძვლებს.

**ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:**

კანონპროექტის მიღებით საფინანსო სექტორში შეიქმნება საშუალო ზომის, სტაბილური ბიზნესმოდელისა და მაღალი რეპუტაციის მქონე ახალი ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც ორიენტირებული იქნება სამეწარმეო და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დაკრედიტების ხელშეწყობაზე. აღნიშნული გაზრდის ბაზარზე თავისუფალ კონკურენციას და გამოიწვევს საკრედიტო პროდუქტებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირებას. გაიზრდება საფინანსო პროდუქტების ხელმისაწვდომობა და ფინანსური ჩართულობა, განსაკუთრებით რეგიონებში. კომერციულ ბანკთან მიახლოებული რეგულირების ჩარჩოთი და მკაფიოდ განსაზღვრული ნებადართული საქმიანობის მიმართულებებით, მიკრო ბანკის ბიზნესმოდელი გამოიწვევს საერთაშორისო ინვესტორების დაინტერესების ზრდას. დამატებით, მიკრო ბანკებს ექნება სოციალური მისიაც, რაც უკავშირდება მცირე ბიზნესის განვითარების შედეგად ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

„მიკრო ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის:

**პირველი თავი** ადგენს კანონის რეგულირების სფეროს, განმარტავს მასში გამოყენებული ტერმინების მნიშვნელობას, განსაზღვრავს მიკრო ბანკის ბიზნესმოდელს და ნებადართულ საქმიანობას.

მიკრო ბანკის ბიზნეს მოდელი ეფუძნება სამეწარმეო, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან შემოსავლის მიმღები პირების დაკრედიტებას. კერძოდ, მიკრო ბანკის საკრედიტო პორტფელის არანაკლებ სამოცდაათი პროცენტი უნდა შედგებოდეს სამეწარმეო მიზნობრიობით გაცემული სესხებისგან ან/და სესხებისგან, რომელთა დაფარვის წყაროს წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი.

კანონპროექტით განისაზღვრება მიკრო ბანკისათვის ნებადართული საბანკო საქმიანობა:

- 1) სესხების, გარანტიების, აკრედიტივების და ლიზინგის გაცემა, ფაქტორინგული ოპერაციები, ამ კანონით დადგენილი ლიმიტის ფარგლებში;
- 2) პროცენტიანი და უპროცენტო მოთხოვნამდე და ვადიანი დეპოზიტების მოზიდვა მხოლოდ „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დადგენილი ზღვრის ფარგლებში, ასევე ზღვრის ზემოთ, მიმდინარე ანგარიშების მომსახურება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ლიკვიდობის მოთხოვნების დაცვით;
- 3) დაბრუნებადი ფულადი სახსრების მოზიდვა, მათ შორის, ფიზიკური პირებისაგან (მათ შორის, ინდივიდუალური მეწარმისაგან) კანონით დადგენილი წესით; კერძოდ, თითოეული ფიზიკური პირისაგან (მათ შორის, ინდივიდუალური მეწარმისაგან) მოზიდული ფულადი სახსრების ოდენობა არ უნდა იყოს 100 000 (ასი ათას) ლარზე ან უცხოური ვალუტით მის ეკვივალენტზე ნაკლები. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებასა და მიკრო ბანკის აქციონერის/დამფუძნებლის მიერ მიკრო ბანკისათვის სესხის გაცემაზე ან კაპიტალში შენატანის განხორციელებაზე. 100 000 (ასი ათას) ლარს ზემოთ დაბრუნებადი ფულადი სახსრების მოზიდვა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ საზედამხედველო კაპიტალთან შეფარდებით შესაბამისი ზღვრის ფარგლებში, რომელიც განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით. აღსანიშნავია, რომ ეს მოწესრიგება ემსახურება გაუთვითცნობიერებელი ფიზიკური პირების დაცვას და ამასთან, მოქმედი კანონმდებლობით, დაბრუნებადი ფულადი სახსრების მოზიდვასთან

დაკავშირებით მსგავსი რეგულირება, მოქმედებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიმართ;

- )] საკორესპონდენტო ანგარიშების გახსნა და მომსახურება; ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციების და საკასო-საინკასაციო მომსახურების განხორციელება; საგადახდო ბარათების გამოშვება და მათი მიმოქცევის ორგანიზება; საგადახდო მომსახურების განხორციელება, საგადახდო სისტემის ოპერირება, ანგარიშსწორების აგენტის ფუნქციების შესრულება;
- )] უპროცენტო საბანკო მომსახურება; დერივატივის დადება, საკუთარი სახსრებით ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული საქმიანობის განხორციელება საჭიროებს საბროკერო საქმიანობის ლიცენზიას;
- )] საკუთარი და კლიენტთა სახსრებით უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა; ფასეულობათა შენახვა; ქონების იჯარით გაცემა მხოლოდ მიკრო ბანკის საქმიანობის განსახორციელებლად;
- )] თითოეულ ზემოაღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მომსახურებები.

ამასთან, მიკრო ბანკი, უფლებამოსილია, კანონით გათვალისწინებული საქმიანობის გარდა, საქართველოს ეროვნული ბანკის თანხმობით დამატებით განახორციელოს საბროკერო კომპანიისათვის ნებადართული საქმიანობა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული თანხმობის გაცემის, აგრეთვე მისი გაუქმების წესს და პირობებს ნორმატიული აქტით ადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი.

**მეორე თავი** აწესრიგებს ლიცენზირების საკითხებს, კერძოდ:

- )] ლიცენზიის მაძიებლის მიერ ლიცენზიის მისაღებად საქართველოს ეროვნულ ბანკში წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას, რომელიც მოიცავს ინფორმაციას კაპიტალის წარმოშობის წყაროების, ჯგუფის სტრუქტურის, მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერისა და ადმინისტრატორის შესაფერისობის კრიტერიუმებს;
- )] მიკრო ბანკის ლიცენზიის გაცემის წესებს და გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პირობებს;
- )] მიკრო ბანკის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერისა და ადმინისტრატორის შესაფერისობის კრიტერიუმებს.

**მესამე თავი** ადგენს მნიშვნელოვანი წილის შემენის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საქართველოს ეროვნულ ბანკში წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას, განცხადების განხილვის ვადებს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის უფლებამოსილებას. დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის ან/და არაზუსტი ინფორმაციის წარდგენის შემთხვევაში საზედამხედველო ზომების გამოყენების საკითხებს.

**მეოთხე თავი** აწესრიგებს საკუთრების უფლებისა და მართვის საკითხებს:

- )] მოთხოვნებს მიკრო ბანკის კაპიტალისა და რეზერვების მიმართ, ინვესტიციების განხორციელების წესსა და ლიმიტებს;
- )] მიკრო ბანკის კომერციულ ბანკად გარდაქმნის, მიკრო ბანკთან შერწყმის და მიკრო ბანკის გაყოფის საკითხებს;
- )] განსაზღვრავს კორპორაციული მართვის საკითხებს, როგორც ორგანიზაციული სტრუქტურის თავსებადობის, ისე მმართველი ორგანოების შესაფერისობის კრიტერიუმებს, სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის ფორმირებისა და პასუხისმგებლობის ძირითად საკითხებს;
- )] საბანკო საიდუმლოების დაცვისა და მასზე წვდომის საკითხებს.

**მეხუთე თავი** აწესრიგებს მიკრო ბანკის ძირითადი საოპერაციო საქმიანობის განხორციელების წესებს:

- )] მიკრო ბანკის მართვისა და საოპერაციო საქმიანობის განხორციელებას საქართველოს კანონმდებლობის თანახმად დასაბუთებული ადმინისტრაციული და სააღრიცხვო პროცედურების, მიკრო ბანკის საქმიანობის ლიცენზიისათვის დართული პირობებისა და შეზღუდვების, აგრეთვე საქართველოს ეროვნული ბანკის დადგენილებების, წესებისა და ინსტრუქციების შესაბამისად;
- )] კლიენტებთან საქმიანი ურთიერთობების საფუძვლებს;
- )] საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტების შესაბამისად განსაზღვრული იმ ნორმატივებისა და ლიმიტების ჩამონათვალს, რომელთა დაცვაც მოუწევს მიკრო ბანკს:
  - საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა;
  - სხვადასხვა სახეობის კაპიტალის კლასიფიცირებულ აქტივებთან თანაფარდობა საქართველოს ეროვნული ბანკის წესების შესაბამისად;
  - ერთ მსესხებელზე ან ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფზე გაცემული კრედიტებისა და სხვა ვალდებულებების მაქსიმალური ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1 000 000 (ერთ მილიონ) ლარს;
  - ერთი მსხვილი სესხისა და ყველა მსხვილი სესხის და სხვა ვალდებულებების თანაფარდობა პირველად კაპიტალთან;
  - ყველა ინსაიდერზე გაცემული კრედიტებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხის თანაფარდობა პირველად კაპიტალთან;
  - ლიკვიდობის დონე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;
  - აქტივებისა და გარესაბალანსო ვალდებულებების კლასიფიკაცია და მათი შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირება და გამოყენება;
  - ინვესტიციებისა და ქონებრივი ინვესტიციების თანაფარდობა სააქციო კაპიტალთან;
  - ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტი საზედამხედველო კაპიტალთან.

ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილი იქნება:

- რისკზე დამყარებული ზედამხედველობის პრინციპებიდან გამომდინარე, თითოეული მიკრო ბანკის მიმართ დაადგინოს ეკონომიკური ლიმიტებისა და ნორმატივების ინდივიდუალური მაჩვენებლები და სხვა მოთხოვნები ან დაუწესოს მიკრო ბანკებს ეკონომიკურ ლიმიტებსა და ნორმატივებთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები;
- თუ მიკრო ბანკის მთლიანი აქტივები გადააჭარბებს საფინანსო სექტორის მთლიანი აქტივების 2%-ს, მიკრო ბანკს მოსთხოვოს აღნიშნული ლიმიტის ფარგლებში დაბრუნების გეგმა ან განუსაზღვროს დამატებითი ან/და განსხვავებული საზედამხედველო მოთხოვნები.

აღნიშნული თავი ასევე არეგულირებს:

- )] კლიენტთან საქმიანი ურთიერთობების განხორციელების პირობებს და წესებს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმების

შესაბამისად; კლიენტებისთვის ანგარიშების გახსნის საკითხზე თანხმობისა და უარის თქმის საფუძვლებს;

- ⌋ დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებებს; ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს;
- ⌋ გარიგებებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შენახვის ვადებსა და პირობებს.

**მექვესე თავი** განსაზღვრავს მიკრო ბანკებისა და მისი შვილობილი საწარმოების მიერ ფინანსური ანგარიშგების, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ჩატარების წესებს და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მათი შემოწმების უფლებამოსილებას, როგორც დისტანციური ზედამხედველობით, ისე ადგილზე შემოწმების გზით.

**მეშვიდე თავი** არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილებას მიკრო ბანკის, მიკრო ბანკის ადმინისტრატორის ან მაკონტროლებელი პირის მიმართ გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე საზედამხედველო ზომა ან/და სანქცია (ფულადი ჯარიმა), აღნიშნული ზომების გამოყენების პრინციპებსა და საფუძვლებს, ასევე განსაზღვრავს მათი გამოყენებისას გასათვალისწინებელი პროპორციულობის პრინციპის კრიტერიუმებს.

ამავე თავით განსაზღვრულია მიკრო ბანკში დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნისა და მიკრო ბანკის ლიკვიდაციის საკითხების მომწესრიგებელი დებულებები:

- ⌋ დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის არსი და მისი შემოღების წინაპირობები;
- ⌋ დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის დანიშვნისა და გაუქმების წესები;
- ⌋ დროებითი ადმინისტრატორის დანიშვნის წესები და მისი უფლება მოვალეობები;
- ⌋ ლიცენზიის გაუქმებისა და ლიკვიდაციის დაწყების წინაპირობები;
- ⌋ ლიკვიდატორის დანიშვნის წესი და მისი უფლებამოსილებები;
- ⌋ ლიკვიდაციის დასრულების ან გაკოტრებას დაწყებასთან დაკავშირებული წესები.

**მერვე თავი** მოიცავს გარდამავალ დებულებებს და კანონის ამოქმედებას:

- ⌋ 2024 წლის 1 იანვრამდე მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ მიკრო ბანკის საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად განაცხადის წარდგენის შემთხვევაში, მიკრო ბანკის საქმიანობის ლიცენზიის მიღებიდან 2 წლის შემდეგ არ უნდა ერიცხებოდეთ დაგირავებული აქტივები, გარდა ლიკვიდობის მხარდაჭერისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ინსტრუმენტებისა. ამ პერიოდში, მათ განესაზღვრებათ ლიკვიდობის კოეფიციენტზე განსხვავებული ინდივიდუალური მოთხოვნა:

- იმ მიკრო ბანკებს, რომელთა დაგირავებული აქტივების სააქციო კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი ლიცენზიის მიღების მომენტში 90%-ზე მეტია, არ ექნებათ დეპოზიტების მოზიდვის უფლება;

- იმ მიკრო ბანკებს, რომელთა დაგირავებული აქტივების სააქციო კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი ლიცენზიის მიღების მომენტში 90%-ზე ნაკლებია, ექნებათ დეპოზიტების მოზიდვის უფლება იმ წინაპირობით, რომ დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი დეპოზიტების მოზიდვის უფლების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ 50%-ზე ნაკლები იქნება, ხოლო ორი წლის შემდეგ - განულდება.

- 2024 წლის 1 იანვრამდე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ მიკრო ბანკის საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად განაცხადის წარდგენისას, მიკრო ბანკის საკრედიტო პორტფელის არანაკლებ ორმოცდაათი პროცენტი უნდა შედგებოდეს სამეწარმეო მიზნობრიობით გაცემული სესხებისგან ან/და სესხებისგან, რომელთა დაფარვის წყაროს წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი,

ხოლო მიკრო ბანკის საქმიანობის ლიცენზიის მიღებიდან 2 წლის შემდეგ, მიკრო ბანკი უნდა აკმაყოფილებდეს კანონის მოთხოვნებს.

**ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):**

ასეთი არ არსებობს.

**ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:**

კანონპროექტი ძალაში შედის გამოქვეყნებიდან 6 თვის შემდეგ. 6 თვიანი ვადა საჭიროა შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოსამზადებლად/შესამუშავებლად, როგორცაა მიკრო ბანკების საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირების წესი და პირობები, მიკრო ბანკების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესი (სხვა დებულებებთან ერთად მოიცავს კაპიტალის ადეკვატურობის, ლიკვიდობის გაანგარიშების და პრუდენციულ ნორმატივებთან დაკავშირებულ დებულებებს), მიკრო ბანკების აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების წესი, მიკრო ბანკების მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარსადგენი ფინანსური ანგარიშგების ფორმის, წარდგენის ვადისა და ბუღალტრული აღრიცხვის წესი, მიკრო ბანკების მიერ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარდგენის წესი, მიკრო ბანკებისა და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესი, მიკრო ბანკების ლიკვიდაციის წესი და სხვა.

ამასთან, კანონპროექტით უკუძალა გათვალისწინებული არ არის.

**ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):**

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა მოთხოვნილი არ არის.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალო ვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

მიკრო ბანკებზე გავრცელდება დაბეგვრის იგივე რეჟიმი, რომელიც ამჟამად მოქმედებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიმართ. ამასთან, საბიუჯეტო შემოსავლები გაჩნდება მიკრო ბანკისთვის დაწესებული სალიცენზიო მოსაკრებლის (100 000 ლარი, რომელიც მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში) და ასევე, მიკრო ბანკების სტრუქტურულიდან გამომდინარე, კადრების ზრდის აუცილებლობით გამოწვეული გაზრდილი საშემოსავლო გადასახადების სახით. გარდა ამისა, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე გავლენას იქონიებს მოგების გადასახადი, კანონმდებლობით დადგენილი სხვა გადასახადები და შესაბამისი დარღვევების არსებობის შემთხვევაში, ეროვნული ბანკის მიერ მიკრო ბანკისათვის ფულადი ჯარიმის დაკისრების შედეგად განსაზღვრული გადახდები (კანონპროექტის 29-ე

მუხლის შესაბამისად), ვინაიდან ფულადი ჯარიმის სახით დაკისრებული თანხები საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში მიიმართება. სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, დადებით გავლენას იქონიებს მიკრო ბანკების საქმიანობის შედეგად, იაფ საკრედიტო პროდუქტზე გაზრდილი ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე, შესაბამის დაკრედიტების სფეროებში, მეწარმეთა გაუმჯობესებული მდგომარეობა და მათი შემოსავლების ზრდა.

ზემოაღნიშნული შემოსავლების ზუსტი მოცულობის განსაზღვრა დამოკიდებული იქნება მიკრო ბანკის საქმიანობის ლიცენზიის მსურველთა და ამ ლიცენზიის მიმღებთა ოდენობაზე და მათი შემდგომი საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლების მოცულობაზე. ეს უკანაესკნელი კი დამოკიდებული იქნება მიკრო ბანკის საქმიანობის ლიცენზიის მფლობელთა ბიზნეს გეგმებზე, ზომაზე, კომპლექსურობასა და რისკის აპეტიტზე.

რაც შეეხება ფულადი ჯარიმების კონკრეტულ ოდენობას, აღნიშნული სხვადასხვა დარღვევებისათვის ეროვნული ბანკის შესაბამისი სამართლებრივი აქტით, კანონის ამოქმედების შემდგომ განისაზღვრება და ფულადი ჯარიმის გამოყენება დამოკიდებული იქნება დარღვევის ხასიათსა და სიმძიმეზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:**

კანონპროექტს ექნება ზოგადი პოზიტიური ფინანსური გავლენა საფინანსო სექტორზე და მის ყველა მონაწილეზე და რაც მთავარია, ეკონომიკაზე, რადგან საფინანსო სექტორში კონკურენციის ზრდასთან ერთად, ერთი მხრივ, გაუმჯობესდება მომხმარებელთა ხელმისაწვდომობა საბანკო პროდუქტებსა და მომსახურებაზე, ხოლო მეორე მხრივ, გაიზრდება ინვესტიციები, რაც აისახება აქტივების ზრდაში, ეს კი მეტ საპროცენტო შემოსავალს და მეტ მოგებას ნიშნავს. გარდა ამისა, ხელი შეეწყობა მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორის განვითარებას და მათი მომგებიანობის ზრდას, მათ შორის, დასაქმების კუთხით. გაიზრდება ხელმისაწვდომობა ფინანსურ სერვისებზე, განსაკუთრებით რეგიონებში.

გარდა ამისა, კანონპროექტს შესაძლოა ფინანსური გავლენა ჰქონდეს იმ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე, რომლებიც, სურვილისა და კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მიკრო ბანკებად გარდაიქმნებიან.

კერძოდ, მათ გაეზრდებათ კაპიტალის მოთხოვნა, ასევე სალიცენზიო მოსაკრებლის მოთხოვნა (100 000 ლარი), ეკონომიკური ლიმიტებისა და ნორმატივების დაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნები, ასევე ადამიანურ რესურსთან დაკავშირებული (მათ შორის, ადმინისტრატორთა ანაზღაურების თვალსაზრისით) და სხვა ადმინისტრაციული დანახარჯები. აღნიშნული დანახარჯების მოცულობა დამოკიდებულია მიკრო ბანკის საქმიანობის ლიცენზიის მიღების მსურველთა რაოდენობაზე (სავარაუდოდ, 3 ან 4 მიკროსაფინანსო ორგანიზაციაა მსურველი, თუმცა პროცესის საბოლოო შედეგი წინასწარ ვერ განისაზღვრება), მათ შემდგომ საქმიანობაზე, ინდივიდუალური ლიმიტებისა და მოთხოვნების დაწესების საჭიროებასა და ადმინისტრატორთა ანაზღაურების ოდენობაზე, რომელიც შესაძლოა სხვადასხვა იყოს კონკრეტული მიკრო ბანკის ზომისა და კომპლექსურობის მიხედვით. ამასთან, აღნიშნული ხარჯები დამოკიდებული იქნება იმაზე, მიკრო ბანკის საქმიანობის ლიცენზიას მიიღებს არსებული მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, კომერციული ბანკი, თუ ახალი სუბიექტი.

კანონპროექტს ფინანსური გავლენა ასევე ექნება მიკრო ბანკის მნიშვნელოვანი წილის შემქმნელებზე, როგორც კაპიტალის ხარჯის, ასევე წილის შექმნაზე თანხმობის მისაღებად ეროვნულ ბანკში წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის მომზადების კუთხით. აღნიშნული დანახარჯების მოცულობა დამოკიდებული იქნება შესაძენი წილის ზომასა და რისკის აპეტიტზე.

კანონპროექტს არ ექნება ფინანსური გავლენა ეროვნულ ბანკზე, ვინაიდან მიკრო ბანკებზე ზედამხედველობა არსებული რესურსის ფარგლებში განხორციელდება. დამატებითი რესურსის მოზიდვა ამ ეტაპზე არ იგეგმება და მომავალში განისაზღვრება საჭიროების მიხედვით.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:**  
კანონპროექტის შესაბამისად, ბიკრო ბანკის საქმიანობის ლიცენზიის მიღების მსურველი ვალდებული იქნება გადაიხადოს შესაბამისი სალიცენზიო მოსაკრებელი, რომელიც განისაზღვრება 100 000 ლარის ოდენობით და სახელმწიფო ბიუჯეტში მიიმართება.

კანონპროექტით, ასევე გათვალისწინებულია ეროვნული ბანკის მიერ ფულადი ჯარიმების დაკისრების შესაძლებლობა მიკრო ბანკების მიმართ, შესაბამისი დარღვევების შემთხვევაში. ფულადი ჯარიმების კონკრეტული ოდენობა კი თითოეული დარღვევისათვის (მისი ხასიათისა და სიმძიმის გათვალისწინებით) განისაზღვრება ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით, კანონის ამოქმედების შემდგომ.

**ბ.1) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:**

კანონპროექტი გავლენას არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტი არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან: ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში: ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში: ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში: ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და საქართველოს ეროვნული ბანკი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.